საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 18 04/04/2016

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხარაგაული -2011“-სათვის“- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკის სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.გ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადაცეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკა დანართის შესაბამიად (თან ერთვის) სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხარაგაული -2011“-ს არსებობის ვადით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

დანართი

1. ერთი ერთეული .ტრქტორი MF290 საბალანსო ღირებულებით 12000 (ათას ორასი) ლარი.
2. ერთი ერთეული ტრქტორი MF290 საბალანსო ღირებულებით 180 (ასოთხმოცი) ლარი.
3. ერთი ერთეული ტრაქტორი GELTS 436 საბალანსო ღირებულებით 10000 (ათიათასი) ლარი.
4. ერთი ერთეული ტრაქტორი GELTS 436 საბალანსო ღირებულებით 13000(ცამეტიათასი) ლარი.
5. ერთი ერთეული ტრაქტორი GELTS 436 საბალანსო ღირებულებით (თხუთმეტიათასი) 15000 ლარი.
6. ერთი ერთეული სამკორპუსიანი გუთანი KP143 საბალანსო ღირებულებით 300 (სამასი) ლარი.
7. ერთი ერთეული სამკორპუსიანი გუთანი KP143 საბალანსო ღირებულებით 350 (სამასორმოცდაათი) ლარი.
8. ერთი ერთეული კულტივატორი KB13 საბალანსო ღირებულებით 250 (ორასორმოცდაათი) ლარი.
9. ერთი ერთეული კულტივატორი KB13 საბალანსო ღირებულებით 300 (სამასი) ლარი.

ინგა მაღრაძე



საკრებულოს თავმჯდომარე